დანართი 3

დამტკიცებული შპს ავიცენას საერთაშორისო
საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის
2020 წლის 01 სექტემბრის № 01/22 ბრძანებით

შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის

დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

თბილისი
2020

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ადგენს კოლეჯში პროფესიული პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესს, რომელიც ითვალისწინებს კოლეჯის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს. მეთოდოლოგიის მიზანია კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა საერთო კონტინგენტის ფარგლებში შესაბამის პროფესიულ პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადექვატური გადანაწილება, საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად უზრუნველყოფის მიზნით, რათა დაცული იყოს თითოეული სტუდენტისთვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა.

მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

2.1. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს სტუდენტის სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვაში;

2.2. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით;

2.3. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, პროექტორით;

2.4. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით - ინვენტარით;

2.5. დასაშვებია სხავდასხვა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში;

2.6. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A,B და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება;

2.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ

ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა;

2.8. B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს, შესაბამისად B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს B სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ორმოცმაგი რაოდენობა;

2.9. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე მუხლის 2.7. და 2.8. პუნქტებით გათვალისწინებულ რაოდენობებს შორის უმცირესს;

2.10. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი;

2.11. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენისას, აუცილებელია აგრეთვე შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

ა) პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული სტუდენტის გამტარობა;

ბ) პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა ისე, რომ მათი საათობრივი დატვირთვა არ აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს;

გ) არსებობის შემთხვევაში აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა

2.12. ადმინისტრაციული რესურსი:

ა) კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა გამომდინარეობს მისი საქმიანობის სპეციფიკიდან და სტუდენტთა მაქსიმალური ქვოტის ფარგლებში ადმინისტრირებას ახდენს საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პერსონალით და ხელშეკრულებით მოწვეული პირებით;

ბ) ადამიანური რესურსის რაოდენობრივი პარამეტრი, არის პროფესიული განათლების მასწავლებელი და ადმინისტრაციული პერსონალის ის რგოლი, რომელიც უშუალოდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურ განხორციელებას;

გ) პროფესიული განათლებლის მასწავლებლის რაოდენობრივი მაჩვენებელი განისაზრვრება პროგრამის ფარგლებში შესაბამისი მოდულისთვის განსაზღვრული საკონტაქტო საათებისა და კანონმდებლობით დასაშვები კვირეული დატვირთვის შესაბამისად;

ადმინისტრაციული პერსონალის, კერძოდ, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისა და პროფორიენტაციის, კარიერული მხარდაჭერისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის

ფარგლებში პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება ყოველ 100 პროფესიულ სტუდენტზე ერთი თანამშრომელი.